

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

## ლალი მიქელაძე

ტურიზმის პოლიტიკა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება; შიფრი - 02

თბილისი

2016

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

ასოცირებული პროფესორი:

/მ. მეტრეველი/

**რეცენზენტები:** -----

-----

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივლისს, ---- საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე.

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატის – სტუ-ს ვებ-გვერდზე.

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი**

პროფესორი:

/ს. ხიზანიშვილი/

## Summary

Dissertation work is devoted to the tourism state policy, the institutional structure of the sector, problem of planning and discussing of necessary legal measures in Georgia. The introduction consists of the actuality of the topic, set out the goals and objectives of the research, the object and the subject, theoretical-methodological fundamentals and database, scholar innovation. Here is presented theoretical and practical significance of the work, approbation and publication, volume and structure.

The review of the literature discusses the questions about the following issues: the origin of the problem, which is raised in the dissertation work, what is known about this problem, what alternative methods are developed to solve the problem and which of them are used in the work.

The work underlines the fact that tourism is an integral part of international economic relations and the importance of the tourism is continuously growing and directly linked to relations between states, social, educational, economic spheres. Here is also discussed the international tourism statistics of the World Tourism Organization by six regions (Europe, Africa, Middle East, Asia-Australia and Oceania, North. and South. America, the Caribbean). The work emphasizes unified policy effectiveness of the European Union, which is the world tourism leader.

The second chapter of the thesis "The situation of the tourism policy in Georgia" reviews and analyzes tourism policy as a priority sector of the economy, which contributes to the strengthening of peace and development through the creation of the job, growth of income, diversification of the economy, environmental protection and cultural convergence. It is emphasized that the pragmatic policy significantly stimulates the development of tourism, which is primarily determined by the national strategy and the legislative branch. Here is discussed the institutional arrangement of the tourism and characteristics of the tourism regulation models in the foreign countries.

The economic importance of tourism of Georgia is substantiated on the base of statistics and empirical data. Economic indicators include statistical data in the field of tourism about the number of employees, export-import of tourist service, share of tourism in the GDP, foreign direct investment in the hotels and restaurants, capacity of the railways and airports of Georgia.

Systematic analysis of the advantages and disadvantages of National Tourism Administration substantiates necessity of the fundamental transformation in the institutional arrangement of tourism.

The third chapter of the dissertation work "**Strategic Directions of Tourism Development**" includes four issues. The first issue discusses several strategic documents which were created in the 21st century of tourism development period of Georgia by the participation of international experts. These documents are: "Tourism Development Strategy and Plan" (TASIS) - 2001 Year and Trade and Development Agency of the USA and the SW Associates-2008 year. It is noted that both of the above-mentioned documents are almost identical to the estimation of

the situation which is in the national tourism sector, to the fixing of brake factors of dynamic operation problems and development of sector. It is shown that the action programs and recommendations presented in the documents for the development of tourism have not been realized.

**"Strategies of Regional Development of Tourism in Georgia"** (Autonomous. Rep. of Adjara, Kvemo Kartli, Imereti, Kakheti, Samtskhe-Javakheti, Samegrelo, Racha-Lechkhumi and Guria) is discussed as second issue of the third chapter. Here is analyzed regional development program of Georgia in 2015-2017 years, the important medium-term government document, which determines the main objectives and goals of the regional policy of Georgia, relevant priorities and measures and establishes the necessary conditions for the balanced and sustainable socio-economic development of the regions in the country. It is emphasized that one of the priorities of the program is development of tourism as one of the fastest growing sectors of the Georgian economy.

The third chapter of the dissertation work is devoted to the **"Tourism Strategy of Georgia in 2015-2025 years"**. It is one of the most important documents of the country, which is prepared by the National Tourism Administration, the World Bank and by analysis of the research and data from the other sources. "Tourism Strategy of Georgia 2015-2025" is presented in two separate parts. First part describes the results of the comprehensive situational analysis, including, identification, study and analysis of a major disturbing factors and opportunities, which can be arise during the growth of importance of tourism and maximum return from investment. The second part consists of a strategy for the implementation of the action plan, which also defines the responsible agencies on the various activities, timelines, target indicators, the necessary funding sources and measurement indicators of the results. It is proved that the detailed plan which is fulfilled within the framework of National and Regional planning, will give us concrete results: to define the common tasks of the tourism development policy, to maintain the natural and cultural resources, tourism will be involved in the country's general policy and economic development model, to establish an effective coordination between public and private sectors in the tourism field, to select control landmarks of the areas and ways for the tourism development. Considering of Georgia's tourism potential and the importance of strategic planning, it is estimated that tourism market is characterized with low competitiveness in Georgia. Here is dominated export- inbound tourism. Domestic tourism, which should be the basis for developing the tourist industry, is unplanned and presented with unsustainable character.

Work provides with recommendations for strategic planning and implementation.

**"Improvement of the legal framework of tourism and its harmonization with EU legislation"** is discussed as a fourth issue in the third chapter of the dissertation. The Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement (DCFTA) is an important part of the **Association Agreement**. This agreement (DCFTA) includes a mechanism for economic integration with EU and it opens an internal market of EU. It will

create new requirements and opportunities for tourism as a sector of the economy. It in turn leads to the harmonization of national policy in tourism.

It is shown that the legislative base of tourism is out of date in Georgia. Tourism, as a developing and changing branch, requires new legislative regulations according to the country's political, economic situation.

On the basis of existing legislation in the country's tourism sector, the author came to the conclusion: considering the legislative gap, it is necessary to develop and adopt the complex of laws and regulations for the development and strengthening of tourism industry mechanisms. State authorities should develop and adopt the entire complex of laws and regulations in the format of dialogue with tourism business environment.

Main results of research, conclusions and proposals are briefly formed in conclusion. They can be used for the institutional arrangement, strategic planning and legal regulations of the National Tourism Administration of Ministry of Economy and Sustainable Development. They can also be used by the educational and research institutions for the relevant training programs and scientific report.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ტურიზმის, როგორც მომსახურების ინდუსტრია XXI საუკუნეში სწრაფი ტემპით ვითარდება. მაღალეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის გამო მას მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი როლი ეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში, მთლიანი შიდა პროდუქტისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში. ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის დარგთაშორის კომპლექს წარმოადგენს, რადგან მის განვითარებაზე პიდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი.

ტურიზმი ასევე განიხილება, როგორც საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობის სახეობა და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტი. იგი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია, მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე, საზოგადოებაში მთლიანად. ტურიზმის

განვითარება პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოთა ურთიერთობებთან, სოციალურ, საგანმანათლებლო და ეკონომიკურ სფეროებთან.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ტურიზმს თვლის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილად.

მსოფლიოს ყველა ტურისტულ რეგიონს გააჩნია ღირსშესანიშნაობანი, რომლითაც შეიძლება ტურისტების დაინტერესება. ზოგიერთი მათგანი აღიარებულია მსოფლიოში და ხშირ შემთხვევაში გამოდის ქვეყნის „ტურისტულ ბრენდად“. ყველა ტურისტული რეგიონი და ქვეყანა ცდილობს აამაღლოს საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა, გაზარდოს ტურისტთა რაოდენობა და შესაბამისად მათგან მიღებული შემოსავლები.

საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფოს შესაბამის პოლიტიკასთან. ტურიზმი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, ახალ სამუშაო ადგილებისა და ქვეყნის განვითარებას, მაგრამ მას ამისათვის სჭირდება მასტიმულირებელი სახელმწიფო პოლიტიკა. კანონმდებლებმა მხარი უნდა დაუჭირონ ძლიერი და ხელსაყრელი სამოქმედო გარემოს შექმნას ტურიზმში.

საქართველოში ტურიზმის განვითარების საერთო ეკონომიკური მიზანი არის ტურიზმის სექტორიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რაც ხელ შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, მათი დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის მეშვეობით. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სწორად გააზრებული ქვეყნის ტურიზმის განვითარების ერთიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებითა და განხორციელებით.

**პრობლემის შესწავლის მდგომარეობა.** ტურიზმის ხელმწიფო პოლიტიკასა და საკანონმდებლო უზრუნველყოფის საკითხებზე ნაშრომები აქვთ: მ. მეტრეველს, ხ. ბერიშვილს, ლ. კობალაძეს, გ. შუბლაძეს, ლ. დოლოკაშვილს, ა. ოქროცვარიძეს, მ. ვადაჭკორიას, ლ. ოქროცვარიძეს, ვოლკოვს, ლ. გაიდუკოვიჩს დ.ტიმოთის, ა. ბულს და სხვა.

თემის აქტუალობამ, მისმა სამეცნიერო და პრაქტიკულმა მნიშვნელობამ და სადისკუსიო ხასიათმა განსაზღვრა კვლევის მიზანი და ამოცანები, ობიექტი და საგანი, ლოგიკა და აგების სტრუქტურა.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანი იყო საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის სახელმწიფო პოლიტიკის, დარგის ეროვნული სტრატეგიის ეფექტური დაგეგმვის მნიშვნელობის განსაზღვრა, ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

ამ მიზნის მისაღწევად შემდეგი ამოცანები იქნა გადაწყვეტილი:

- შესწავლილ იქნა ტურიზმის განვითარების საერთაშორისო ტენდენციები;
- დახასიათებულ იქნა ევროკავშირის ქვეყნების ტურიზმის საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ;
- დახასიათდა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ტურიზმის განვითარებისთვის;
- დახასიათდა საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის არსებული მდგომარეობა;
- გამოვლენილ იქნა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ჩატარებული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგები;
- დახასიათდა საქართველოს ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიები;
- ჩატარდა დარგის განვითარების პოლიტიკის შედეგებისა და 2014-2015 წლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;
- დახასიათდა საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2015-2025 წწ.;
- დადგინდა ტურიზმის სახელმწიფოს პოლიტიკის და დარგის საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების საკითხებთან დაკავშირებული გასატარებელი ცვლილებები და მათი ზეგავლენა ქვეყანაში მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის.

**კვლევის ობიექტი და საგანი** კვლევის ობიექტს კვლევის მიზნიდან და

ამოცანებიდან გამომდინარე წარმოადგენს ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის თანამედროვე პრაქტიკა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში. კვლევის საგანია საქართველოში ტურიზმის სახელმწიფო ორგანოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ დარგის პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში ჩამოყალიბებული სამართლებრივი, ორგანიზაციულ-მმართველობითი ასპექტები.

**კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ემპირიული ბაზა.** ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებს წარმოადგენს საერთაშორისო და ეროვნული ტურიზმის საკითხებზე არსებული თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომები, ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ანგარიშები, ტურიზმის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციების მასალები, სახელმწიფო, საზოგადოებრივი, ეკონომიკური ინსტიტუტების ანგარიშები, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები, მთავრობის საპროგრამო დოკუმენტები, და სხვა.

კვლევისას გამოვიყენეთ ლოგიკური, სტატისტიკური ანალიზის და ფაქტობრივი კვლევის მეთოდები. სისტემური მიდგომა დარგში მიმდინარე პროცესების გაფართოების შედეგების შეფასებისადმი, ინდუქციის, დედუქციის და სტატისტიკური მეთოდები.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეებს განეკუთვნება:

1. შემუშავებულია რეკომენდაციები დარგის ძირითადი კანონის („კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ 1997 წ.) განახლებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაციის მიმართულებით.
2. ჩამოყალიბებულია წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს ტურიზმის განვითარების კონცეფციასა და სტრატეგიული მიმართულებების სრულყოფისათვის.



3. შემოთავაზებულია ტურიზმის პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეფექტიანობის გაზრდის მექანიზმები, კერძოდ ადმინისტრაციის ახალი სტრუქტურული მოდელი.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა** განისაზღვრება ავტორის მიერ ფორმულირებული დასკვნების, რეკომენდაციების, საქართველოში ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების და დარგის მართვის მეთოდოლოგიურ ბაზად გამოყენების შესაძლებლობით.

სადისერტაციო კვლევის მეცნიერული შედეგები, განზოგადებები და დასკვნები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინსტიტუციური მოწყობის, დარგის სტრატეგიული დაგეგმვისა და საკანონმდებლო რეგულაციებისთვის.

აგრეთვე, სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში ტურიზმის მიმართულებით.

**ნაშრომის აპრობაცია.** სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში – აბრეშუმის გზის მე-9-ე საერთაშორისო კონფერენციაზე „ბიზნესი, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და განათლება“ – თბილისი 23-24 მაისი, 2014 წელი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი-არასამთავრობო ორგანიზაცია – „ტურიზმი და რეალობა“ კონფერენციაზე: „სამედიცინო ტურიზმი – გამოწვევები და პერსპექტივები“, თბილისი – 30-29 მაისი 2015 წელი. საქართველოს ბიზნეს აკადემია IV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ბიზნესის განვითარების პრობლემები გლობალური ეკონომიკის პირობებში“ – თბილისი, 14-15 მაისი, 2015 წელი. ა(ა) იპ ტურიზმის კოლეჯი „იკაროსი“ – I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „XXI საუკუნის ტურიზმი და პროფესიული განათლება“, – თბილისი 5-6 ნოემბერი 2015 წ.

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნეს მართვის დეპარტამენტში დაცული იქნა სამი კოლოქვიუმი და ორი სემინარი.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები სამეცნიერო სტატიების სახით გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა** განპირობებულია განსახილველი საკითხების ხასიათით, კვლევის ამოცანებითა და მეთოდებით. ნაშრომი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავისა და დასკვნისგან. იგი მოიცავს 169 გვერდს და თვალსაჩინოებისათვის მასში გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემები, ცხრილები და ნახაზები. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

### **ნაშრომის ძირითადი შინაარსი**

სადისერტაციო ნაშრომი – „ტურიზმის პოლიტიკა საქართველოსა ევროკავშირის ქვეყნებში“ ეძღვნება ტურიზმის, როგორც ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის განვითარების აქტუალურ თემას –სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება საქართველოში ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკას, დარგის ინსტიტუციურ მოწყობას, დაგეგმვისა და საკანონმდებლო უზრუნველყოფის პრობლემის განხილვას.

ნაშრომი შედგება 167 გვერდისაგან და „დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების“ ინსტრუქციის მიხედვით მოიცავს: ტიტულის გვერდს, ხელნაწერების გვერდს, საავტორო უფლებების გვერდს.რეზიუმეს, შინაარსს, ცხრილების ნუსხას, ნახაზების ნუსხას, ძირითად ტექსტს და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას. ძირითადი ტექსტი თავის მხრივ შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის და შედეგების განსჯისა და დასკვნისაგან.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, გადმოცემულია კვლევის მიზანი და ამოცანები, ობიექტი და საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგ ოური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა, მეცნიერული სიახლე, ნაჩვენებია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, აპრობაცია და პუბლიკაცია, მოცულობა და სტრუქტურა.

ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხგაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ: საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემა, რა არის ცნობილი ამ პრობლემის შესახებ რა ალტერნატიული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემის გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წინამდებარე ნაშრომში.

საქართველოში ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შედეგების კვლევისა და ანალიზისთვის, არსებული მდგომარეობის გამოსავლენად განვიხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულება, განხორციელებული მარკეტინგული პროგრამები, სტატისტიკური ანგარიშები 2014, 2015 წწ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში.

ჩვენს მიერ თავმოყრილ და გაანალიზებული იქნა:

- საერთაშორისო ბაზრის ანალიზი – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია – 2014-215 წ.;
- შიდა მოგზაურობის კვლევა – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2014-2015 წ.;
- ტურიზმის რეგიონალური მართვის ორგანიზაცია (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია – 2013 წ.;
- საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია, 2014-1017 (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო);
- საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2013 წ.);
- საქართველოს ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარება – 2013 წ.;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია – 2015 წლის ანგარიში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი. **„ტურიზმის მსოფლიო პოლიტიკის ტენდენციების მიმოხილვა“** განხილულია მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის ტენდენციები, რომელსაც მაღალეკონომიკური

და სოციალური ეფექტიანობის გამო მრავალი ქვეყანის ეკონომიკაში წმყვანი როლო ეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში, მთლიანი შიდა პროდუქტისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ტურიზმი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ნაწილია, რომლის მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება და პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოთა ურთიერთობებთან, სოციალურ, საგანმანათლებლო, ეკონომიკურ სფეროებთან. ასევე განხილულია მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის საერთაშორისო ტურისტული სტატისტიკა ექვსივე რეგიონის მიხედვით (ევროპა, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, აზია - ავსტრალია და ოკეანეთი, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა კარიბის ზღვის აუზი) განხილულია ევროკავშირის, დღევანდელი მსოფლიო ტურიზმის ლიდერის ერთიანი პოლიტიკის ეფექტურობა. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, მსოფლიოს მთავრობებმა ტურიზმის განვითარებისთვის მეტი უნდა იმუშაონ, რადგან ორგანიზაციის უახლესი კვლევის მიხედვით, ტურიზმი ის სფერო აღმოჩნდა, სადაც კრიზისის პირობებშიც კი ახალი სამუშაო ადგილები გაჩნდა. კვლევის მიხედვით, 2013 წელს საერთაშორისო ტურიზმის ინდუსტრია 3,8%-ით გაიზარდა. ამ სფეროში მოზიდულმა ინვესტიციებმა კი ისტორიაში პირველად ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. განხილულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტურიზმის ერთიანი პოლიტიკა და დარგის მარეგულირებელი მთავარი საკანონმდებლო აქტებია.

ნაშრომის ამავე თავში განსაზღვრულია ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციების როლი დარგის განვითარებისთვის. ხაზგასმულია თითოეულ სახელმწიფოში მთავრობათა პასუხისმგებელობა ეროვნული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, ფისკალური და სხვა გარემოს სტაბილიზაციაზე, რაც გავლენას ახდენს ტურისტულ ბიზნესზე.

ხაზგასმულია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტურისტული წარმატება საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე განპირობებულია არა მარტო წარმატებული პოლიტიკით ევროპულ დონეზე, არამედ იმიტაც, რომ მონა-

წილე ქვეყნები ატარებენ ადგილობრივ დონეზე ეროვნული პროდუქტების განვითარებისა და დანერგვის წარმატებულ პოლიტიკას. მსოფლიოს ყველა ტურისტულ რეგიონს გააჩნია ღირსშესანიშნაობანი, რომლითაც შეიძლება ტურისტების დაინტერესება. ზოგიერთი მათგანი აღიარებულია მსოფლიოში და ხშირ შემთხვევაში გამოდის ქვეყნის „ტურისტულ ბრენდად“. ყველა ტურისტული რეგიონი და ქვეყანა ცდილობს აამაღლოს საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა, გაზარდოს ტურისტთა რაოდენობა, ტურების ვადები და საშუალო ამონაგები. ტურიზმის ეფექტიანობის მაჩვენებელს, რომელიც ზოგადად ახასიათებს დარგის შემოსავლიანობას.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში „ საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის არსებული მდგომარეობა“-ის პირველ თავში საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანო \_ (სსიპ) ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები \_ განხილული და გაანალიზებულია ტურიზმი საქართველოში, როგორც ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში მშვიდობისა და განვითარების გამყარებას, სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ხაზგასმულია, რომ ტურიზმის განვითარების უპირველესი ამოცანაა დარგის თანამედროვე საკანონმდებლო რეგულირება (კანონები, კანონქვემდებარე აქტების შემუშავება). ტურიზმის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ინფრასტრუქტურის შექმნა, უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება ინვესტიციების რადგან შიდა და უცხოური ინვესტიციები ტურისტული ინდუსტრიისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად საშუალებას წარმოადგენს

ხაზგასმულია, რომ ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფო პოლიტიკა, რასაც პირველ რიგში ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და დარგის საკანონმდებლო უზრუნველყოფა განსაზღვრავს. არის მსჯელობა ტურიზმის სახელმწიფო ინსტიტუციური მოწყობისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში ტურიზმის სახელმწიფო რეგუ-

ლირების მოდელების მახასიათებლების შესახებ და შესაბამისად საქართველოში ტურიზმის პოლიტიკის განმსაზღვრელი, განმახორციელებელ ინსტიტუციის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტრუქტურის და ფუნქციონირების შესახებ (2014-2015 წწ) შიდა და საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებით.

ნაშრომის მეორე თავის მეორე თავში საქართველოს ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა. სტატისტიკა. ემპირიული მონაცემები დასაბუთებულია საქართველოს ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა, სტატისტიკისა და ემპირიული მონაცემების საფუძველზე. ეკონომიკური მაჩვენებლები მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის, ტურისტული მომსახურების ექსპორტ-იმპორტის, მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმის წილის, სასტუმროებსა და რესტორნებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, საქართველოს რკინიგზისა და აეროპორტების გამტარუნარიანობის შესახებ.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების სისტემური ანალიზით დასაბუთდა, რომ თუ რამდენად საჭიროა ძირეული გარდაქმნები ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკაში დარგის კომპლექსური განვითარებისთვის.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხების ხარვეზები და შესაბამისად დარგის აღმასრულებელი ორგანოს ახალი მოდელის სტრუქტურისა. საქართველოში ტურიზმის განვითარების მნიშვნელობისა და პერსპექტიულობის გათვალისწინებით დადგენილია, რომ საჭირო იქნება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფუნქციური ცვლილება დარგის სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისთვის. ტურიზმის ადმინისტრაციასთან შექმნილი სპეციალური მარკეტინგის სააგენტო უზრუნველყოფს საერთაშორისო და ადგილობრივი ტურისტული ბაზრების კვლევებს, რაც

იქნება საფუძველი დარგის სახელმწიფო დაგეგმვისათვის, განახორციელებს მაკეტინგულ ღონისძიებებს ქვეყნის პოპულარიზაციისთვის. აღნიშნული სააგენტოს ფუნქციონირება მიზანშეწონილია სკპ (PPP) პრინციპით, რაც გულისხმობს სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობას, ითანამშრომლებს ტურიზმის ბიზნესთან, ეს კი უმნიშვნელოვანესია იმ დარგებისთვის, რომლებსაც სახელმწიფო ეკონომიკური განვითარებისთვის პრიორიტეტულად მიიჩნევს. ტურიზმის სფეროში პოლიტიკის შემუშავებელი და გამტარებელი სახელმწიფო ორგანო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია კი განისაზღვრება შემდეგი ფუნქციებით: ტურიზმის მდგრადი განვითარების დაგეგმვა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება გატარება, კანონშემომქმედებითი საქმიანობა და არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, მომსახურების ობიექტების სტანდარტების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი, ტურიზმის დარგში განათლება და პროფესიონალური მომზადება-გადამზადება, სასწავლო სტანდარტების შემუშავება მათი შესრულების კონტროლი.

ტურიზმის დაგეგმვის პროცესში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების მონაწილეობის ხარისხი სხვადასხვაა, რასაც განაპირობებს ქვეყნის იდეოლოგია ეკონომიკის განვითარების ეტაპი, ტურიზმის ადგილზე და მნიშვნელობაზე ეკონომიკის სისტემაში და ა.შ. აქედან გამომდინარე მთავრობის მონაწილეობა უნდა იყოს აქტიური ან პასიური. საქართველოში მთავრობა უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს დარგის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, რადგან კერძო სექტორში ჯერ კიდევ შეიმჩნევა კაპიტალისა და გამოცდილების დეფიციტი.

შემუშავებული ტურიზმის სახელმწიფო მართვის ახალი მოდელი გულისხმობს საერთო ეროვნულ და დარგობრივ მიზნებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირს და გადაწყვეტილებების მიღებას პრიორიტეტების საფუძველზე. გასული წლების რეფორმების შედეგად მოტანილი გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც აფერხებენ დარგის განვითარებას. ამგვარი შემაფერხებელი

გარემოებების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია სტაბილური და ტურისტულ ბიზნესზე ორიენტირებული საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბება და ფისკალური დისციპლინის დაცვა, რომ ერთი მხრივ, საფრთხე არ შეექმნას კერძო სექტორის განვითარებას და მეორე მხრივ, უზრუნველყოფილ იქნას საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულება.

სადისერტაციო ნაშრომში შემუშავებული ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების ახალი მოდელი უზრუნველყოფს დარგის განვითარების პოლიტიკაში ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების თანაბრად გათვალისწინებას, ეროვნული და რეგიონალური ამოცანების დომინირებას ლოკალურ და სექტორულ ინტერესებთან შედარებით, კერძო სექტორის და სხვა განსაკუთრებული ჯგუფების ფუნქციონირების ეფექტურობას, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას, მომსახურების ობიექტებისა და სტანდარტების შემუშავებას, ტურისტული საკურორტო რესურსის ინვენტარიზაციის და კრიტერიუმების შემუშავებას, არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას ქვეყნის იმიჯის ამაღლებისთვის. უნდა ავლნიშნოთ, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ასევე შეიმუშავებს ტურიზმის მარკეტინგული სააგენტოსთვის მარკეტინგის განვითარების სტრატეგიას.

იდეა ახალი მარკეტინგული სააგენტოს შესახებ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია წარმატებით განხორციელებული. საქართველოში ტურიზმის განვითარების არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მისი განხორციელება უზრუნველყოფს: სააგენტოს საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრას კერძო სექტორის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მოქნილი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას, საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრის და სეგმენტების განსაზღვრა-გაფართოვებას „ტურისტული პროდუქტის რაოდენობრივ და ხარისხობრივი მაჩვენებლებლების ანალიზს, სარეკლამო ლონისძიებებების განხორციელების ოპტიმალურობას, დაფინანსების სისტემიდან გამომდინარე სახელმწიფო საბიუჯეტო თანხების დაზოგვას.



ტურიზმის მარკეტინგულ სააგენტოში აუცილებლად შეიქმნება მარკეტინგული კამპანიის განხორციელების წესი, რომელშიც განსაზღვრული იქნება დასახული მიმართულებებისა და მიზნების მიღწევის შედეგები თითოეული მარკეტინგული ღონისძიების ფარგლებში.

საქართველოში ტურიზმის პოლიტიკის არსებული მდგომარეობის განხილვის დაგვიანებით, რომ ტურიზმის დაგეგმვის პროცესში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების მონაწილეობის ხარისხი სხვადასხვაა, რასაც განაპირობებს ქვეყნის იდეოლოგია ეკონომიკის განვითარების ეტაპი, ტურიზმის ადგილზე და მნიშვნელობაზე ეკონომიკის სისტემაში და ა.შ. აქდან გამომდინარე მთავრობის მონაწილეობა უნდა იყოს აქტიური ან პასიური. საქართველოში მთავრობა უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს დარგის პოლიტიკის დაგეგვასა და განხორციელებაში, რადგან კერძო სექტორში ჯერ კიდევ შეიმჩნევა კაპიტალისა და გამოცდილების დეფიციტი.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი **„ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“** მოიცავს ოთხ საკითხს პირველ საკითხში განხილულია 21-ე საუკუნის საქართველოს ტურიზმის განვითარების პერიოდში შექმნილი რამდენიმე სტრატეგიულ დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო ექსპერტების თანამონაწილეობით შეიქმნა, „ტურიზმის განვითარების სტრატეგია“ (TASIS) – 2001 წელი და „ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია და გეგმა“ აშშ-ის ვაჭრობის და განვითარების სააგენტო და SW Associates-ი \_ 2008 წ. აღნიშნულია, რომ ორივე ზემოთხსენებული დოკუმენტი თითქმის იდენტურია ეროვნული ტურიზმის სფეროში არსებული ვითარების შეფასებაში, სექტორის დინამიური ფუნქციონირების პრობლემებსა და განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორების დაფიქსირებაში. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული დოკუმენტებში წარმოდგენილი სამოქმედო პროგრამები და რეკომენდაციები ტურიზმის განვითარებისთვის ვერ იქნა რეალიზებული.

ნაშრომის მესამე თავში მეორე საკითხად განხილულია **„საქართველოს ტურიზმის რეგიონალური განვითარების სტრატეგიები“** (აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის) გაანალიზებულია 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, მნიშვნელოვანი საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს და ადგენს საჭირო პირობებს ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. ხაზგასმულია, რომ პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ტურიზმის განვითარება, როგორც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორის. ხაზგასმულია, რომ რომ სწორედ წარმოდგენილი სტრატეგიების მიხედვით უნდა მოხდეს მომდევნო წლებში საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარება. აღნიშნული სტრატეგიები, შესაბამისი ხედვები, პრიორიტეტები და ამოცანები ეფუძნება თითოეული რეგიონისა და მათი სექტორული განვითარების მრავალმხრივ ანალიზს. სტრატეგიების მომზადებაში ჩართული იყვნენ რეგიონული განვითარების საბჭოები, მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი ექსპერტები, დონორი ორგანიზაციები. სტრატეგიებში გათვალისწინებულია თითოეული რეგიონის სპეციფიკა, მათი უპირატესობები და პერსპექტიული მიმართულებები. შესაბამისად, სტრატეგიებში წარმოდგენილია სისტემური მიდგომები როგორც საბაზო საჭიროებებზე მოკლე თუ საშუალო ვადიანი რეაგირებისთვის, ასევე გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების შემდგომი სტიმულირებისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2015-2025-ს. ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც მომზადებულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, მსოფლიო ბანკისა და სხვა წყაროებიდან მიღებული კვლევებისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2015-2025“ ორ ცალკეულ ნაწილადაა წარმოდგენილი. პირველ

ნაწილში მოცემულია დეტალური სიტუაციური ანალიზის შედეგები, მათ შორის, ტურიზმის მნიშვნელობის ზრდისა და ინვესტიციებიდან მაქსიმალური ამონაგების მიღების ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორებისა და შესაძლებლობების იდენტიფიკაცია, შესწავლა და ანალიზი. მეორე ნაწილი მოიცავს სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას, რომელიც ასევე განსაზღვრავს სხვადასხვა აქტივობაზე პასუხისმგებელ უწყებებს, განხორციელების ვადებს, მიზნობრივ მაჩვენებლებს, საჭირო დაფინანსების წყაროებსა და შედეგების საზომ ინდიკატორებს. დასაბუთებულია, რომ ტურიზმის ეროვნული და რეგიონული დაგეგმვის ფარგლებში შემუშავებულმა დეტალურმა გეგმებმა უნდა მოგვცეს კონკრეტული შედეგები: განისაზღვრავს ტურიზმის განვითარების პოლიტიკის საერთო ამოცანებს, შენარჩუნდება ბუნებრივი და კულტურული რესურსები, ტურიზმი ჩაერთვება ქვეყნის საერთო პოლიტიკასა და ეკონომიკის განვითარების საერთო მოდელში, ტურიზმის სფეროში ჩამოყალიბდება სახელმწიფო ადა კერძო სექტორების შეთანხმებული ეფექტიანი კოორდინაცია, შეირჩევა ტურიზმის განვითარების გზებისა და მიმართულებების კონტროლის ორიენტირები. საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობისა და პერსპექტიულობის გათვალისწინებით, დადგენილია, რომ ჯერ კიდევ საქართველოში ტურიზმის ბაზარი დაბალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა, დომინირებს ტურისტული მომსახურების ექსპორტი-შემომყვანი ტურიზმი. შიდა ტურიზმი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის საფუძველს ვითარდება არაგეგმაზომიერად და არამდგრადი ხასიათით გამოირჩევა.

ხაზგასმულია, რომ ტურიზმის განვითარებას ნებისმიერ ქვეყანაში სჭირდება ერთიანი ძალისხმევა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისა და მულტისექტორული თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავებული განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი დანერგვა. თავისთავად ამგვარი სტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელია ყოველმხრივი

ანალიზი და ნათელი ხედვა არსებული მდგომარეობის და პრობლემებისა, ისევე როგორც კრეატიული მიდგომა იმ ღონისძიებების შემუშავებისას, რამაც მომავალში ხელი უნდა შეუწყოს დარგის განვითარებას.

წარმოდგენილია რეკომენდაციები ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში მეოთხე საკითხად განხილულია ტურიზმის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზება. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს, რაც ტურიზმის, როგორც ეკონომიკის დარგისთვის ახალ მოთხოვნებს და შესაძლებლობებს შექმნის, რაც თავისთავად ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის ჰარმონიზებას განაპირობებს. ტურიზმის სფეროში მხარეები ითანამშრომლებენ რათა:

- უკეთ გამოიყენონ მათი რეგულარული დიალოგი, თანამშრომლობის გაღრმავებისა და სამომავლო ნაბიჯების განხილვის მიზნით;
- გააძლიერონ კონკურენტუნარიანი და მდგრადი ტურისტული ინდუსტრიის განვითარება;
- ხელი შეუწყონ და განავითარონ ტურისტული ნაკადები, პროდუქცია და ბაზარი, ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსები, ინსტიტუციური სტრუქტურები და ეფექტიანი პოლიტიკა;
- განაგრძონ საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა და ცოდნის ზოგადი გაზიარება, ტრენინგები და განათლება ტურიზმის

ხაზგასმულია 2014 წ. ევროკავშირისა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმის წარმატებით მიმდინარე პროცესების შესახებ, რაც ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს.

ნაჩვენებია, რომ საქართველოში ტურიზმის საკანონმდებლო ბაზა მოძველებულია. ტურიზმი კი, როგორც ცვალებადი და განვითარებადი დარგი, ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ ვითარებასთან შესაბამის ახალ საკანონმდებლო რეგულიაციებს მოითხოვს.

ქვეყნის ტურისტულ სექტორში არსებული კანონმდებლობის შესწავლის საფუძველზე ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ საკანონმდებლო სფეროში არსებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ტურიზმის საქმიან წრეებთან დიალოგის ფორმატში აუცილებელია შეიმუშაონ და მიიღონ ტურისტული ინდუსტრიის მექანიზმების განვითარებისა და განმტკიცების უზრუნველყოფი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მთელი კომპლექსი. ტურიზმი, როგორც ქვეყნის ეკონომიკის, საერთაშორისო კავშირებისა და საქმიანი აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილი, საჭიროებს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეგულირებას. ტურიზმის საერთაშორისო დონეზე რეგულირება ხდება კონვენციების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე, მსოფლიო რეგიონებისა და ქვეყნების დონეზე კი რეგიონებისა და ქვეყნების შესაბამისი კანონებითა და საკანონმდებლო აქტებით.

ნაჩვენებია, რომ საქართველოს ტურიზმის სექტორის ძირითადი სამართლებრივი ბაზა შედგება კანონებისაგან: „საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ (1997 წ.), „საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ (1997) და კანონი „საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ“ (1998) აღნიშნული კანონები მოძველებულია და არ ითვალისწინებს ტურიზმის განვითარების დღეს არსებულ და აქტუალურ სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებსა.

შემუშავებულია დარგის ძირითად კანონში („კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ 1997 წ.) რეკომენდაციები სამართლებრივი ჩარჩოში ცვლილებების შესატანად.

## დასკვნა

ტურიზმის განვითარებას ნებისმიერ ქვეყანაში სჭირდება ერთიანი ძალისხმევა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისა და მულტისექტორული თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავებული განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი დანერგვა. თავისთავად ამგვარი სტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელია ყოველმხრივი ანალიზი და ნათელი ხედვა არსებული მდგომარეობის და პრობლემებისა, ისევე როგორც კრეატიული მიდგომა იმ ღონისძიებების შემუშავებისას, რამაც მომავალში ხელი უნდა შეუწყოს დარგის განვითარებას.

მსოფლიო ბაზარზე ტურიზმის სფეროში ძალზედ მაღალი კონკურენციაა და ამიტომ საკუთარი ნიშის მოსაპოვებლად აუცილებელია კარგად გააზრებული, დაგეგმილი და დანერგილი სტრატეგიის არსებობა. რაც მთავარია ამ სტრატეგიაში მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნებიც უნდა იყოს ორიენტირებული საბოლოო, მდგრად შედეგზე და არა იმავნუთიერ წარმატებაზე, რამაც შეიძლება დივიდენდების ნაცვლად საბოლოო ჯამში მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოიტანოს.

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა საზოგადოების, მთავრობისა და უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს თუ რას ეფუძნება მისი კონკურენტული უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით და გააუმჯობესოს მომსახურება. ტურიზმის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო შესაბამისი რეგულაციებითა და ინფრასტრუქტურის მოწყობით. უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება ინვესტიციებს, რომელიც წარმოადგენს მამოძრავებელ ძლას ტურიზმის განვითარებისთვის.

ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის უპირატესობებს: \_ განვითარების საშუალებას აძლევს ისეთ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ ნედლეული, თუმცა საკუთარ კონკურენტულ უპირატესობას აფუძ-

ნებენ თავიანთ კულტურაზე, ისტორიულ ძეგლებზე, ნაკრძალებსა და ბუნებრივ პირობებზე;

ტურიზმის ხელშემწყობი პოლიტიკა მოიცავს ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რაც მოიცავს გზებს, ჯანდაცვის დაწესებულებებს, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებს, რაც ასევე ამცირებს უმუშევრობას და ზრდის შემოსავალს სახელმწიფო ბიუჯეტში;

ტურიზმის ეფექტური პოლოტიკის გატარება მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ისტორიული, რელიგიური და არქეოლოგიური ძეგლების დაცვასა და მოფრთხილებას, ადგილობრივი ფოლკლორის, ტრადიციების, ხელოვნებისა და სამხარეულოს დაცვასა და შენარჩუნებას;

ქვეყანაში სწორად წარმართული ტურიზმის პოლიტიკის შედეგს ტურისტთა რაოდენობის ზრდა ასახავს, რაც განაპირობებს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენლებს შორის, ხელს უწყობს ერების დაახლოებას და მათ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას.

ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას საქართველოში,სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და გონივრული კანონმდებლობის დანერგვა.

ღია ეკონომიკა, გამართული და განვითარებული ინფრასტრუქტურა, სამაგალითო ადმინისტრაციული მომსახურება და ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და საწარმოების ლიბერალური რეგულირება, უნდა გახდეს საქართველოში ტურიზმის ეფექტური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი საფუძველი; ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოზე გამავალმა სატრანსპორტო დერეფანმა უნდა

შეინარჩუნოს და გაზარდოს მიმზიდველობა, რის მისაღწევადაც მნიშვნელოვანი იქნება თანამშრომლობა რეგიონის სხვა ქვეყნებთან

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედაა. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია განუხრელად დაიცვას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კურსი და უზრუნველყოს საერთო ევროპული ფასეულობების მტკიცე მხარდაჭერა, რაც ევროკავშირთან დაახლოების საფუძველი გახდება. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ეფექტიან განხორციელებას (რომლის განუყოფელ ნაწილს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს), რაც ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის საწინდარია. განვითარების ამ ეტაპზე და არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს საქართველოს მთავრობის მიზანი იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაა, რომელიც ქვეყნის ტურიზმის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ეკონომიკური თავისუფლებისა და საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვას. ამავდროულად, სახელმწიფო იქნება ეკონომიკურ პროცესებში სამართლიანობის დაცვის გარანტი.

საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია არსებული კანონის („კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ 1997წ.) რევიზია და შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რათა მოხდეს მისი ჰარმონიზაცია როგორც საქართველოს ამჟამინდელ კანონმდებლობასთან, ასევე საერთაშორისო მოთხოვნებთან და შეთანხმებებთან. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ტურიზმის განვითარება მულტისექტორულ თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იქნება, ამიტომაც შესაბამის დარგობრივ კანონმდებლობაშიც არის გარკვეული ცვლილებები გასატარებელი (მაგ. საგადასახადო სისტემაში, საგარეო ურთიერთობათა და შინაგან საქმეთა სისტემაში, საბანკო სექტორში), რათა მოხდეს ტურიზმთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის ინტენსიური განვითარება და ინვეს-



ტიციების სტიმულირება. კანონის გარდა, ტურიზმის სფეროში ძალზედ მნიშვნელოვანია კარგად გააზრებული მარეგულირებელი სისტემის და დოკუმენტების ჩამოყალიბება.

მარეგულირებელი ჩარჩო უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი, თუმცა მაქსიმალურად ითვალისწინებდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე მომხმარებელთა და მიმწოდებელთა ინტერესების დაცვას.

ევროკავშირის და საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების გზაზე და სწორედ ამიტომაც საქართველოს დღევანდელი მთავრობა ახორციელებს რეფორმებს ამ სფეროში.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ზოგიერთ თავს ახლავს დანართი (სულ 34), რომელშიც მოცემულია ევროკავშირის კონკრეტული სამართლებრივი აქტები და მათთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვადები. შესაბამისად, საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება მოხდება ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით. შეთანხმებით საქართველო იღებს ვალდებულებას შესაბამის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პროგრესული დაახლოებისა და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის კუთხით; აღსანიშნავია, რომ ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება მოიცავს ღონისძიებებს, რომლიც მიზნად ისახავს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდასა და ტურისტული ნაკადის მატებას თუმცა „ასოცირების შესახებ შეთანხმები“-ში (თავი-9) ტურიზმის კანონმდებლობის ჰარმონიზების საკითხები არ არის განხილული.

## ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

დისერტაციის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ შრომებში:

მოხსენიებულია ორ სემინარში:

1. „ტურიზმი და პროფესიული განათლება“ – 02.02.2015
2. „საქართველოს შავიზღვისპირეთი და „ველნეს“ ტურიზმი“ – 10.07.2015

სამ კოლოქვიუმში:

1. „ტურიზმის მსოფლიო პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა“ – 03.02.2015.
2. „საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის არსებული მდგომარეობა“ – 09.07.2015
3. „ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“ – 15.02.2016.

სტატიები:

1. „საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციები“ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №5, 2015, გვ. 115-119.
2. „ტურიზმი და პროფესიული განათლება“ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №6, 201, გვ. 114-118.
3. „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფუნქციონირების ახალი მოდელი“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, №33, 2016, გვ. 251-255.
4. „ევროკავშირის ქვეყნებებს ტურიზმის განვითარების პოლიტიკა“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №1, 2016, გვ. 228-233.

კონფერენციები:

1. მოხსენება: „ტურიზმი და განათლება“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აბრეშუმის გზის“ მეცხრე საერთაშორისო კონფერენცია,

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, IBSU, თბილისი, 2014. 23-25 მაისი.
2. მოხსენება: „შავი ზღვისპირეთი და „ველნეს“ ტურიზმი“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამედიცინო ტურიზმი - ცვლილებები და პერსპექტივები“, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, IBSU, თბილისი, 2015. 29-30 მაისი.
  3. მოხსენება: „XXI საუკუნის ტურიზმი და პროფესიული განათლება“. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „XXI საუკუნის ტურიზმი და პროფესიული განათლება“, პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“, თბილისი, 2015. 5-6 ნოემბერი.
  4. მოხსენება: „ვეროკავშირის ერთიანი პოლიტიკა ტურიზმის დარგში“. მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ბიზნესის განვითარების პრობლემები გლობალური ეკონომიკის პირობებში“, საქართველოს ბიზნესის აკადემია, თბილისი, 2015. 14-15 მაისი.
  5. მოხსენება: „საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა და რეგულირების მოდელი“, აბრეშუმის გზის მე-11 საერთაშორისო კონფერენცია „ინოვაციები ბიზნესში, განათლებასა და მეცნიერებაში“ - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, IBSU, თბილისი, 2016. 20-21 მაისი.